



## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

30 ივნისი, 2022 წ.

### გამჭირვალობა და საზოგადოების მონაწილეობა

ყველა დონეზე, სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის წაყენებულ სავალდებულო პირობას ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მისაღებად<sup>1</sup>. განსაკუთრებით როცა საუბარია, ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის“ მომზადების პროცესში, დაინტერესებული საზოგადოების დროული და გონივრული ჩართულობა აუცილებელია ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებებითაც.

მიუხედავად იმისა რომ დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპებად განსაზღვრულია „პარტნიორული ურთიერთობებისთვის გახსნილობა დაინტერესებულ მხარეებთან“ და „გამჭირვალობა“, ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის გამოქვეყნების თაობაზე, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილისთვის შემთხვევით გახდა ცნობილი. 2022 წლის 17 ივნისს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამართა შეხვედრა ნამახვანი ჰესის შედეგების თაობაზე. სწორედ ამ შეხვედრაზე გახდა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლისგან რომ საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი უკვე გამოქვეყნებული იყო სამინისტროს ვებგვერდზე, ხოლო შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 30 ივნისი.

ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გავერძელებინა ევროკავშირის ენერგოგაერთიანების ინიცირებით, საქართველოში დანერგილი საჯარო განხილვების და დისკუსიების ფორმატი, რომლის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობდა (10 შეხვედრა) ეროვნული ენერგეტიკული და კლიმატის სამოქმედო გეგმის განხილვა, სამინისტრომ არათუ არ გამოაცხადა საჯარო განხილვები ენერგოპოლიტიკის დოკუმენტზე, საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ თავად განხილვის ფორმატში მონაწილე ორგანიზაციებისთვისაც კი მიეწოდებინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია და მიეცა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისთვის გონივრული ვადა.

გვსურს წარმოგიდგინოთ ჩვენი შენიშვნები საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე.

### ზოგადი შენიშვნა

საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს უამრავ წინააღმდეგობრივ, შეუსაბამო და დეტალური ანალიზის გარეშე გაკეთებულ

თბილისი, 0179, საქართველო ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ. ტელეფონი: (995 32) 222 38 74 ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org

<sup>1</sup> [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800) „Ensure the involvement of civil society in decision-making processes at all levels“;

მოსაზრებას. სამწუხაროდ დოკუმენტის უდიდესი ნაწილი ეძღვნება იმას რომ სახელმწიფო მომავალში დაგეგმავს და განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, თუმცა არ არის სრულფასოვნად წარმოდგენილი არც გაზომვადი მიზნები, არც ამ გეგმების შესრულების დრო და არც დაგეგმილი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყველა საკითხი რომელიც განხილვების დროს წამოიჭრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ, მაგალითად, ბატარეები, თბური ტუმბოები ა.შ. ასახულია პოლიტიკის დოკუმენტში, თუმცა არაა განსაზღვრული არც დრო, არც მხარდამჭერი ღონისძიებები და არც მოსალოდნელი შედეგები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკის დოკუმენტის ავტორების ერთადერთი მიზანი იყო ფიქტიურად აესახათ დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებები და ეჩვენებინა ევროკავშირის ენერგოგაერთიანებისთვის, თითქოს დოკუმენტში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებია გათვალისწინებული.

## ელექტროენერგეტიკის სექტორი

წარმოდგენილ დოკუმენტში ელექტროენერგეტიკის სექტორი არის პოლიტიკის სამუშაო ვერსიის ძირითადი მიმართულება, სადაც წარმოდგენილია სახელმწიფოს მიდგომები და პოზიცია. სამწუხაროდ, დოკუმენტი მოიცავს ძალიან ზედაპირულ და წინააღმდეგობრივ ჩანაწერებს რომელიც არ არის გამყარებული სექტორის დეტალური ანალიზით.

წარმოდგენილ დოკუმენტში ელექტროენერგეტიკის სექტორის მიმოხილვისას ძალიან ზედაპირულად არის ნახსენები სეზონურობის პრობლემა, რომელიც გაბნეულია დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებში. დოკუმენტში ხაზგასმულია მოხმარების მზარდი ტენდენცია და არსებული გენერაციის ობიექტების დადგმული სიმძლავრეები. დასკვნის სახით, კი მხოლოდ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება განიხილება არსებული დეფიციტის შემცირების საშუალებად. არ არის დეტალური შეფასება გაკეთებული, მაგალითად, როგორ პასუხობს სეზონურობის პრობლემას კიდევ უფრო მეტი ჰესი. აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ წლიურ ჭრილში დეფიციტის დაფარვაზე.

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის როგორც თავად პოლიტიკის დოკუმენტში, ისე საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მომზადებულ **საქართველოს გენერაციის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის (2021-2035) გეგმაში** წარმოდგენილ ინფორმაციასთანაც კი.

2021-2035 წლების ადეკვატურობის გეგმის მიხედვით, „ჰიდრორესურსების სიჭარბე და სიმცირე ძლიერად გამოირჩევა სეზონურობით. ყველაზე ჭარბი ჰიდრორესურსებით ხასიათდება გაზაფხულის და შემდგომ შემოდგომის პერიოდი. ყველაზე მცირე შემოდინებები აღინიშნება ზამთარში და შედარებით მეტი ზაფხულში. ზოგადად ჰესების, განსაკუთრებით კი მოდინებაზე მომუშავე სადგურების გენერაციის მკვეთრად გამოხატული სეზონურობა დიდ უბალანსობას ქმნის გენერაციის თვიურ პორტფოლიოში. მაისსა და ივნისში, როდესაც შემოდინება მაქსიმალურია, ფიქსირდება ყველაზე დიდი ჰიდრო გენერაცია. აღნიშნული აჭარბებს საქართველოს მოხმარებასაც და საჭიროებს ექსპორტს. გაზაფხულზე ხშირად შემოდინება იმდენად მაღალია, რომ ჰიდრორეზერვუარები ვეღარ ახორციელებენ ჭარბი შემონადენის შენახვას და თუ ექსპორტი არ განხორციელდა წყლის დაღვრა გარდაუვალი ხდება.“

ამავე დოკუმენტში ელექტროენერგეტიკული სისტემის მთავარ გამოწვევად დასახელებულია ქვეყნისთვის არაპროპორციულად დიდი „ენერგოაგრეგატები“ „რაც გენერაციის ობიექტის ან გადამცემი ხაზის ავარიულად გამორთვის შემთხვევაში იწვევს მომხმარებლების სრულ ან ნაწილობრივ ჩაქრობას“.

ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში გაკეთებულ დასკვნას, რომ „საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია, რაც ათვისების შემთხვევაში საშუალებას მისცემს, შეამციროს ელექტროენერგიის და გაზის იმპორტზე დამოკიდებულება. შესაძლებელია რამდენიმე დიდი მარეგულირებელი და მრავალი მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის აშენება“.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს როგორც მოხმარების, ისე მიწოდების დეტალური ანალიზი. კერძოდ, მოხმარების მხარეს (თბილისი, ენერგოპრო, პირდაპირი მომხმარებლები, აფხაზეთი) წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია წლიურ, თვიურ, დღიურ და საათობრივ ჭრილში:

-ელექტროენერგიის ძირითადი და მსხვილი მომხმარებლების მოხმარებული ენერგიების შესახებ;

- ელექტროენერჯის მოხმარება ჩამოყალიბებული სექტორების მიხედვით;
- ინფორმაციები ოკუპირებული ტერიტორიების (და არამარტო აფხაზეთის) და კრიპტო მოხმარების თაობაზე.

მიწოდების მხარეს კი წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წლიურ, თვიურ, დღიურ და საათობრივ ჭრილში:

- თითოეული გენერაციის ობიექტის (ჰიდროელექტროსადგურების, თბოსადგურების, ქარისა და მზის სადგურების) მუშაობის რეჟიმების თაობაზე;
- იმპორტის მონაცემები.

ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს საათობრივ ჭრილში მოთხოვნა სიმძლავრეებზეც, რაც ნათელ სურათს შექმნიდა არამხოლოდ მოხმარებული ენერჯის (კვტ.სთ), არამედ მოთხოვნილი სიმძლავრეების შესახებაც და გამოავლენდა სიმძლავრის კონკრეტულ დეფიციტს.

მნიშვნელოვანია, გენერაციების წყაროების მიხედვით, ელექტროენერჯის ფასების შესახებ ინფორმაციის ანალიზიც იმპორტის ჩათვლით, რათა ნათელი სურათი შეიქმნას გენერაციის ხარჯ-სარგებლიანობის თაობაზე.

მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციების საფუძველზე უნდა შექმნილიყო ბაზისური სცენარი (WOM<sup>2</sup>), არსებული გამოწვევებითა და პრობლემებით. ეს კი რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ელექტროენერჯიაზე მოთხოვნისა და მიწოდების პროექციის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემდა.

ბაზისურ სცენარში გამოვლენილი გამოწვევებისა და ნაკლოვანებების საპასუხოდ კი უნდა შეიქმნას NECP სცენარი შესაბამისი გაზომვადი და დროში გაწერილი მიზნებითა და მიზნების მიღწევის კონკრეტული ღონისძიებებით და ფინანსური საჭიროებებით, მათ შორის, ენერგოეფექტიანობის მიმართულებით განსახორციელებელი ქმედებების ზემოქმედების გათვალისწინებით.

როგორც წესი, ელექტროენერჯის განვითარების სცენარები უნდა ეფუძნებოდეს ელექტროენერჯეტიკის სექტორის დეტალური ანალიზს და უნდა პასუხობდეს გამოვლენილ ნაკლოვანებებს და გამოწვევებს.

## ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნახშირისა და ბიომასის სექტორების მიმოხილვა

ელექტროენერჯეტიკის სექტორის მსგავსად, სხვა მიმართულებებთანაც აუცილებელია, წარმოდგენილი იყოს როგორც მიწოდების, ისე მოხმარების შესახებ დეტალური ინფორმაცია წლიურ, თვიურ, დღიურ და საათობრივ ჭრილში სექტორების და ფასების მიხედვით. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე უნდა გაკეთდეს მოხმარების სექტორალური პროექცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ფასების დინამიკასაც.

გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, კი უფრო რეალისტური გახდება NECP სცენარის შემუშავება, მათ შორის, პროექციის და დაგეგმილი ღონისძიებების თვალსაზრისითაც.

ბუნებრივი გაზის სექტორის მიმოხილვისას, გაზის მიწოდების უსაფრთხოების გაზრდის, სეზონური და დღე-ღამური მიწოდება-მოხმარების დარეგულირების მიზნით, შემოთავაზებულია გაზის მიწისქვეშა საცავის პროექტი და/ან სხვა ალტერნატიული გადაწყვეტის გზები. თუმცა არ არის დაკონკრეტებული არც ის, თუ რა იგულისხმება ალტერნატივებში. არ არის წარმოდგენილი არც გაუსაცავის სავარაუდო ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები, მათ შორის, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და არაა განმარტებული გაუსაცავის ამ დრომდე არ ამენების მიზეზებიც.

## თბოსადგურები

კითხვებს ბადაებს დოკუმენტში გაკეთებული ჩანაწერი თბოსადგურებთან დაკავშირებით. საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად „იგეგმება სისტემაში მაღალი ეფექტიანობის კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინიანი თბოელექტროსადგურებით არსებული, მოძველებული

<sup>2</sup> WOM (Without Measures) - ბაზისური მდგომარეობა;

თბოსადგურების ჩანაცვლება“. საინტერესოა, კერძოდ, რომელი მაღალი ეფექტიანობის აგრეგატებით იგეგმება მოძველებული თბოსადგურების ჩანაცვლება, ვინაიდან როგორც საქართველოს გენერაციის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის (2021-2035) გეგმით ირკვევა, არსებობს ჩვენს სისტემაში ახლადამშენებულ აგრეგატებზე უკეთესი თანამედროვე ვერსიებიც: „საქართველოში არსებულ თბოსადგურებს საკმაოდ მოუქნელი და მდორედ მომუშავე აგრეგატები აქვთ. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კომბინირებული ციკლის თბოელექტრო სადგური, რომელსაც შეუძლია სიმძლავრის ცვლილება 180 მგვტ-იდან 230 მგვტ-მდე, თუმცა მისი გამშვება/გაჩერება დაშვებულია წელიწადში მხოლოდ 4-ჯერ. აღნიშნულ სადგურთან შედარებით თანამედროვე აგრეგატები ბევრად უფრო უკეთეს შედეგს აღწევენ“.

## ენერგოეფექტურობა

წარმოდგენილ დოკუმენტში ენერგოეფექტურობა ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მოხსენიებული, თუმცა შინაარსობრივად, ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში, საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი მოწესრიგების და ევროკავშირთან „დაახლოების“ დაპირების გარდა, რეალურად, დროში გაწერილი კონკრეტული ქმედებები არ არის განსაზღვრული. კონკრეტული, დროში გაწერილი, ფინანსურად და არაფინანსურად მხარდაჭერილი ღონისძიებები,

ენერგოეფექტურობა არ განიხილება როგორც პირველადი და საბოლოო ენერჯის მოხმარების შემცირების შესაძლებლობად და შემოიფარლება მხოლოდ ე.წ. „ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციით“. ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაცია კი, დოკუმენტის თანახმად, გულისხმობს ენერგომომხმარების „მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებლის“ შემცირებას და არა არსებული მოხმარების შემცირებას.

დოკუმენტში ენერგოეფექტურობა არ განიხილება როგორც გამჭოლი ღონისძიება, რომელსაც აქვს გავლენა არამხოლოდ ელექტროენერგეტიკაზე, არამედ ეკონომიკისა და ენერჯეტიკის ყველა სექტორზე. ამასთან ენერგოეფექტურობა დაჯგუფებულია განახლებად ენერჯიტთან, რაც პრინციპულად არასწორია, ვინაიდან ენერგოეფექტურობა არ ეხება მხოლოდ ელექტროენერგეტიკას, არამედ მთლიანად ენერჯეტიკას.

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში, ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების „მთავარ დაბრკოლებად“ არის მიჩნეული სათანადო სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა და ბიუჯეტური სახსრების სიმწირე. თუმცა ავტორებს გამორჩათ ესენებიანთ, რომ იმავე „მწირ“ ბიუჯეტში გაწერილია მილიარდ ლარზე მეტი დაფინანსება გადამცემი და სხვა ენერგობიექტების მშენებლობისთვის მხოლოდ 2022 წელს. შესაბამისად, ენერგოეფექტურობის განვითარება სრულად არის დამოკიდებული „გარე დონორულ დახმარებასა და საერთაშორისო ორგანიზაციების იაფ სესხებზე“, რაც ეწინააღმდეგება დეკლარირებულ მიზანს.

ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის მიხედვით, ენერგოეფექტურობა წარმოადგენს მოთხოვნის მართვის საკვანძო მიმართულებას და განიხილება როგორც „ენერჯის წარმოების შესაძლებლობა“. ევროკავშირში ენერგოეფექტურობის ღონისძიებებით დაგეგმა როგორც პირველადი, ისე საბოლოო ენერჯის მოხმარებაზე მოთხოვნის შემცირება. ენერგოეფექტურობა ანაცვლებს ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე გასაწევ ძვირ ინვესტიციებს, ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას და ზრდის მიწოდების უსაფრთხოებას<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ენერგოეფექტურობას, როგორც გამჭოლ მიმართულებას, განისაზღვროს ამბიციური გაზომვადი მიზნები, დროში გაწერილი ქმედებები და გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ღონისძიებების უზრუნველყოფის ფინანსური რესურსები. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა.

## მიწოდების გარე წყაროების დივერსიფიკაცია

ენერჯის მიწოდების დივერსიფიკაცია ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დოკუმენტში ზოგადად ხაზგასმულია, რომ „საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დივერსიფიკაციის მეშვეობით, პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შემცირებას“, თუმცა გაუგებარია საქართველოს კონტექსტში, რომელ სექტორში და რომელი გარე წყაროების დივერსიფიკაციას გულისხმობენ ავტორები (არ არის დაკონკრეტებული). მაგალითად, ელექტროენერგეტიკის სექტორში,

<sup>3</sup> [https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-first-principle\\_en](https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-first-principle_en)



მიუხედავად ჰიდროელექტროსადგურების მაღალი კონცენტრაციისა, სამინისტრო ძირითად პრიორიტეტად მაინც ჰესების მშენებლობას მიიჩნევს, გაზის სექტორში კი მთავარ მომწოდებლად კვლავ აზერბაიჯანი განიხილება. უფრო მეტიც, პოლიტიკის დოკუმენტი აქცენტს მოხმარების ზრდაზე აკეთებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, პოლიტიკის დოკუმენტში ნათლად გაიწეროს სექტორების მიხედვით, მიწოდების და ტექნოლოგიური დივერსიფიკაციის შესაძლებლობები.

## **განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისება**

დოკუმენტის მტკიცებით, განახლებადი ენერჯის წყაროები საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. აქცენტი კეთდება ძირითადად ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ქარის, მზის, ბიომასის და გეოთერმულ ენერჯის გამოყენებაზე. სამწუხაროდ, არ არის ახსნილი, საქართველოსთან მიმართებაში, რას გულისხმობს „ენერგეტიკული უსაფრთხოების საფუძველი“. საქართველოს ენერგეტიკულ კალათაში, ენერჯის საბოლოო მოხმარებაში, ელექტროენერჯის წილი მხოლოდ 22.6%-ს შეადგენს, დანარჩენი კი გაზს, ბიომასასა და ნავთობპროდუქტებს უჭირავთ. ელექტროენერჯის 80% კი სწორედ ჰიდროგენერაციაზე მოდის. დოკუმენტშიც მთავარი აქცენტი კი ძირითადად კვლავ ჰიდროპოტენციალის დამატებით ათვისებაზე კეთდება.

ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებადი ენერჯი მართლაც განიხილება ენერგოსაფრთხოების ამალღების ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად, ვინაიდან იგეგმება წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება იაფი ელექტროენერჯით, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ინდუსტრიულ სექტორებში, ემისიების შემცირება ა.შ. ჩვენს შემთხვევაში, წარმოდგენილი ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში ამ მიმართულებით შეფასება არ არის გაკეთებული.

უფრო მეტიც, დოკუმენტის თანახმად, 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებელი 35%-დან 27.7%-მდე შემცირდა.

ცალკეა აღსანიშნავი განახლებადი ენერჯის ხელშემწყობი მექანიზმი პრემიალური ტარიფი, იგივე Feed-In-Premium. სამწუხაროდ, აღნიშნული მექანიზმი არასწორად არის ინტერპრეტირებული როგორც კანონში, ისე წარმოდგენილ დოკუმენტშიც. 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს მთავრობის #403 დადგენილებით დამტკიცდა ეს მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს საბაზრო პრემიალური ტარიფის გადახდას 5 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის სადგურებისათვის უპირობოდ, რაც, ენერჯის მწარმოებელს ბაზარზე ჩამოყალიბებულ საბითუმო ფასთან ერთად, დამატებით უზრუნველყოფს ფიქსირებული პრემიალური ანაზღაურებით.

სინამდვილეში, აღნიშნული მხარდამჭერი სქემა წარმოადგენს ე.წ. Feed-In-Tariff-ს, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წლამდე გამოიყენებოდა. პრემიალური ტარიფის მექანიზმი კი გულისხმობს, პრემიალური ანაზღაურების მიცემას აუქციონის შედეგად გამარჯვებული აქტორისათვის საბაზრო ფასის ზევით.

## **გამოწვევები**

### **კრიპტოვალუტის მზარდი მოპოვება**


საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად პოლიტიკის დოკუმენტი განიხილავს კრიპტოვალუტის მზარდ მოპოვებას და მისი ფასის მერყეობის გამო, ენერჯის მოხმარების მკვეთრ ცვალებადობას, რაც ენერგეტიკული სისტემის მოკლე და გრძელვადიანი დაბალანსების პრობლემებს ამძაფრებს. მიუხედავად ამისა, ამ გამოწვევის საპასუხოდ, ენერგოპოლიტიკის დოკუმენტი არანაირ ღონისძიებას არ განიხილავს.

საქართველოში, მოპოვების მიხედვით, კრიპტოვალუტის ფერმები (ძირითადად მსხვილი) მდებარეობს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, სადაც სარგებლობენ ელექტროენერჯიაზე შედარებითი ტარიფით, ხოლო კრიპტოფერმები ზემო სვანეთსა და აფხაზეთში სარგებლობენ უფასო ენერჯით. არ აღირიცხება არც კრიპტოვალუტის მომპოვებელი ფერმები და არც მათ მიერ მოხმარებული ენერჯია.

2022 წლის იანვარში, ენერჯის მოხმარების მიხედვით, საქართველოს ყველაზე დიდი ინდუსტრიების თხუთმეტ წარმომადგენელს შორის, ოთხი ადგილი ეკუთვნოდათ სწორედ მსხვილ კრიპტოფერმებს, როგორცაა ბიტფიური, აითილები, აითი კორპი, და დატაჰაბი.

**ცხრილი N1: Top-15 ენერჯის მოხმარებელი საწარმო**

წყარო esco.ge




აფხაზეთის მოხმარებამ, რომელმაც ბოლო წლებში თვით თელასის მოხმარებას გადააჭარბა, განაპირობა საქართველოში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის მზარდი ხასიათი. წილობრივი თვალსაზრისით, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის მოხმარების წილი მთლიან მოხმარებაში წლიდან წლამდე მცირდება და 2021 წელს მთლიანი მოხმარების 74.64% შეადგინა, მაშინ როცა 2017 წელს (კრიპტოფერმების გაშვება დაიწყო 2018 წლიდან) ეს წილი 83.12% იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცნაურია, რომ ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში ეს მონაცემები არ არის გაანალიზებული და მიუხედავად გამოწვევად აღიარებისა, შესაბამისი ღონისძიებები ამ მიმართულებით არ არის განსაზღვრული.

**ცხრილი N2: ელექტროენერჯის მოხმარება: აფხაზეთი, კრიპტოფერმები საქართველოში და საქართველო**

წყარო: esco.ge

მოხმარება აფხაზეთი, ქართული კრიპტო, საქართველო



**გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები (PPA)**

მისასალმებელია, რომ წარსულში გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) ეფექტიანობის შესწავლას საზი გაეხვა პოლიტიკის დოკუმენტში, რათა შეფასდეს განახლებადი ენერჯიებისთვის ახალი მხარდამჭერი მექანიზმების მიზანშეწონილობა. კერძოდ, ენერგოპოლიტიკის თანახმად, „საჭიროა მკაფიოდ ჩამოყალიბდეს განსაზღვრული კრიტერიუმები, რაც შეამცირებს რისკებს პროექტების დეველოპერებისათვის და გაზრდის გამჭვირვალებას სახელმწიფოს მხრიდან“. ამასთან „სახელმწიფოს მიერ დეველოპერებისთვის გაცემული შესყიდვის გარანტიები წარმოადგენს საჯარო რესურსს, რომლის გამოყენების ეფექტიანობა მოითხოვს სახელმწიფოს და საზოგადოების მხრივ მონიტორინგს და კონტროლს“.

თუმცა დოკუმენტი აღნიშნულ მექანიზმს კვლავ განიხილავს ინვესტიციის ხელშემწყობ ღონისძიებად და არ განიხილება უკვე გაფორმებული ხელშეკრულებებისა თუ მემორანდუმების გადახედვა, შესაბამისად, მართალია არსებული PPA პრაქტიკა აღარ გამოიყენება, თუმცა „იგი გამოყენებული იქნება რამდენიმე ათეულ ენერგოპროექტში, რომელთა დეველოპერებთან ამგვარი ხელშეკრულებები წარსულშია გაფორმებული.“

შესაბამისად, მიუხედავად ფისკალური ვალდებულებებისა და ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მოთხოვნებთან შეუსაბამობისა, სახელმწიფო არ გეგმავს გარანტირებული შესყიდვის უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების გადახედვას და მათ ანულირებას. ასეთი მიდგომა ცალსახად გაუგებარია ქვეყნის ენერგოპოლიტიკის განსაზღვრის პროცესში.

## ენერგეტიკული სექტორის მედეგობის გაზრდა

ენერგეტიკული სექტორის მედეგობის გაზრდაზე წარმოდგენილი ინფორმაცია პოლიტიკის დოკუმენტში ზოგადი ხასიათისაა და წინააღმდეგობრივი. დოკუმენტის თანახმად, მიწოდების უსაფრთხოების და შესაძლო შეშფოთებების გავლენის მინიმუმზაციისთვის მოხდება ენერგეტიკული მარაგების და მართვის მექანიზმების ჩამოყალიბება, შეიქმნება სტრატეგიული რეზერვები, ენერგეტიკული რესურსების ადგილზე გადამუშავების შესაძლებლობები, დამუშავდება ენერჯების ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობები და ა.შ. მართალია, ნახსენებია თბური ტუმბოების, ბატარეების და სხვა ტექნოლოგიების ხელშეწყობის შესაძლებლობები, თუმცა კონკრეტული გამოწვევებისა და პრობლემების საპასუხოდ, განსაზღვრული არაა არც გაზომვადი მიზნობრივი მაჩვენებლები სექტორების მიხედვით და არც დროში გაწერილი ქმედებები, შესრულების შეფასების მექანიზმი, არც მექანიზმები თუ როგორ იგეგმება თბური ტუმბოებით თუნდაც გაზის ცენტრალური გათბობის სისტემის ჩანაცვლება და ა.შ.

დოკუმენტში საკმაოდ გაუგებარი ინფორმაცია არის წარმოდგენილი ოკუპირებულ აფხაზეთთან მიმართებაშიც: „განსაკუთრებული ზრუნვის საგანია დროებით ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯით უფასოდ მომარაგების დაურეგულირებელი საკითხი, რაც ზიანს აყენებს როგორც ქვეყნის ერთიან ენერგეტიკულ სისტემას, ისე თავად აფხაზეთის ეკონომიკას და მომხმარებლებს. საჭიროა თანამშრომლობის ხელმისაწვდომი არხების გამოყენება და ენერგეტიკული ურთიერთობების მდგრად კომერციულ პრინციპებზე გადაყვანა“.

თუ ოკუპირებულ რეგიონებზე ვსაუბრობთ, გაუგებარია პირველ რიგში 1. რატომ არ არის ამავე კონტექსტში მოხსენიებული ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი; 2. რა იგულისხმება „განსაკუთრებულ ზრუნვის საგანში“, როცა საქმე ეხება უკონტროლო მოხმარებას; 3. რატომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, ვის მიერ მარაგდება აფხაზეთი ელექტროენერჯით და ვინ ფარავს ამ ენერჯის დანახარჯებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია არამხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ენერგეტიკული და ეკონომიკური საჭიროებებიდან გამომდინარეც, ვინაიდან კრიპტოვალუტასთან ერთად, სწორედ აფხაზეთის უკონტროლო, ძალიან მაღალი მოხმარება (რომელიც აქაც კრიპტოვალუტასთან არის დაკავშირებული), განაპირობებს ელექტროენერჯის ზრდის მაჩვენებლების საერთო სურათის დამახინჯებას (იხ. ცხრილი 1).

ამასთან, გაუგებარია, თუ აფხაზეთთან არსებობს ამ მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობა, რატომ არ ხდება მისი გამოყენება, ხოლო თუ ხდება, ეს ქმედებები წარმოდგენილი უნდა იყოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, სამინისტრომ ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა ამ საკითხთან მიმართებაში, და ასახოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში ცალკე ქვეთავად.



**ცხრილი N3: ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში 2019-2021 წწ.**

**ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში  
2019 - 2021 წწ.**



**წიაღისეული ენერგეტიკული რესურსების განვითარება**

ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშეწყობა, რათა ენერჯიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს იმპორტირებული ენერჯიის ეტაპობრივი ჩანაცვლებით საკუთარი ენერგეტიკული რესურსებით. ეს მიმართულება განიხილება განახლებადი ენერჯიების და ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების პარალელურად.

აღნიშნული მიმართულება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის პრიორიტეტებთან, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება სუფთა ინდუსტრიის განვითარებაზე (დეკარბონიზაცია), რომელიც გულისხმობს ქვანახშირის, გაზის და ნავთობის ჩანაცვლებას საწარმოო პროცესებში, ინდუსტრიების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. შესაბამისად, გაუგებარია, საქართველოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში რატომ კეთდება აქცენტი კიდევ უფრო მეტ წიაღისეულ საწვავის მოხმარებაზე ყოველგვარი ხარ-სარგებლიანობის ანალიზის გარეშე, ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ ეს ინვესტიციები გადაიქცევა „Stranded“ აქტივებად.

**გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეფასება**

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტის მე-4 თავი ეძღვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებაში. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია საკმაოდ წინააღმდეგობრივი ინფორმაციები ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით.

დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ქვეყანაში გამოწვევად რჩება „კვლევებისა და გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი. ხშირია პროტესტი და კითხვები უკვე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, რაც, რიგ შემთხვევებში, იწვევს საინვესტიციო პროექტების შეფერხებას, სამშენებლო სამუშაოების გადავადებას და პროექტების საბოლოო შეჩერებასაც კი“.

მიზეზად სახელდება „ენერგეტიკულ პროექტებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოებრივი არასწორი ინფორმირებულობის და ცნობიერების მიკერძოების პრობლემა, რაც გამოწვეულია არასაკმარისი ინფორმირებულობით და გავრცელებული მცდარი ინფორმაციით“; ენერგო პროექტების განვითარების დადებით მხარედ საზოგადოება მხოლოდ კერძო ინვესტორის კომერციულ მიზანს მიიჩნევს. ეს გარემოება უარყოფითად აისახება სახელმწიფოს და ინვესტორის ურთიერთობებზე მოსახლეობასთან, აზიანებს საინვესტიციო გარემოს, აფერხებს პროექტების განვითარებას და მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მეტ ყურადღებას საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად“.

მაშინ როცა ამავე თავში, დოკუმენტის ავტორები მიუთითებენ დადგენილი პროცედურების დაცვის გაუმჯობესებაზე საბოლოო გადაწყვეტილებების სანდოობისა და სიზუსტისათვის. აქვე გამოყოფენ „მეთოდოლოგიურ სიცხადის“ საჭიროებას გარემოზე შეუქცევდი ზემოქმედების შეფასებასა და მისი აუცილებლობის დასაბუთებასთან მიმართებაში. კერძოდ, რა წესითა და მეთოდით განისაზღვრება გარემოზე შეუქცევადი დანაკარგი და როგორ ხდება მისი მონეტიზაცია ხარჯ/სარგებლიანობის ანალიზის ჩრდილში.

მეთოდოლოგიური და რეგულირების საჭიროებაზე კეთდება აქცენტი ჰიდროელექტროსადგურების განვითარებასთან დაკავშირებული მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების საკითხშიც. რატომღაც დოკუმენტში არ არის ნახსენები, რომ ამ მიმართულებით სიცხადე შეტანილია 2017 წლიდან, როცა USAID-ის დაფინანსებით გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია ქართულ ენაზე შემუშავდა და ხელმისაწვდომი გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

აღნიშნული გამოწვევების გარდა, დოკუმენტი ხაზს უსვამს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა:

გეოინფორმაციული სისტემებისა და ბაზების სისწორე და ხელმისაწვდომობა; გარემოს, მისი შემადგენელი კომპონენტების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ფრაგმენტულობა, რაც იწვევს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის არასაკმარის ხელმისაწვდომობას, შედეგად კი ხდება კვლევებსა თუ სხვა სანებართვო დოკუმენტაციაში საპროექტო ტერიტორიისა და ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ტერიტორიისა თუ ეკოსისტემის შესახებ არასრულყოფილი და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამო ინფორმაციის მითითება. ეს კი პრაქტიკაში ნიშნავს, რომ ყველა ახალი აშენებული ჰიდროელექტროსადგური არღვევს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რა იგულისხმება საზოგადოების არასწორ ინფორმირებაში და/ან ცნობიერების მიკერძობაში გაუგებარია.

რაც შეეხება მეთოდოლოგიის დახვეწას,

- აუცილებელია 2018 წ. 1 იანვრამდე ხელმისაწვდომი და 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებული შეთანხმებების რუტინული გამოქვეყნება;
- აუცილებელია არამართო ელექტროენერჯის წარმოების მიზნით, არამედ ენერგეტიკის სფეროში დადებული სხვა შეთანხმებების პროაქტიული გამოქვეყნება (კონფიდენციალურობის წესის დაცვის გათვალისწინებით);
- უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნეს ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკის სფეროში დადებული შეთანხმებების (და სხვა სახის დოკუმენტების) პროაქტიული გამოქვეყნების წესს;
- მნიშვნელოვანია, რომ პლატფორმა, სადაც გამოქვეყნდება შეთანხმებები აღარ იყოს დამოკიდებული ინსტიტუციური მოწყობის ცვლილებაზე და ის გამართულად ფუნქციონირებდეს მიუხედავად უწყებების გაუქმება- რეორგანიზაციისა;
- აუცილებელია, გადაიხედოს ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკული პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობა;

- სხვა უწყებების მიერ პროექტებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების მიღების (მათ შორის, გარემოსდაცვითი უწყების მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების) პროცესების რიგითობის ცვლილების თვალსაზრისით;
- ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკის პროექტებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით.
- აუცილებელია, დადგინდეს ენერგეტიკის პროექტებზე გადაწყვეტილებების მიღების დეტალური, გამჭვირვალე პროცედურები. საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ადრეული ეტაპებიდანვე გახდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მონაწილე. კანონმდებლობით, შესაძლებელია, დადგინდეს გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის გამოყენების ვალდებულება. საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები და ფორმები, შესაძლოა, ასევე, განსხვავდებოდეს პროექტების წარმადობის მიხედვით.

## რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია არ უნდა დამტკიცდეს, მანამ სანამ არ შესრულდება ევროკავშირის მოდერაციით გამართული ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესში, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მიღწეული კონკრეტული შეთანხმებები. კერძოდ:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ოფიციალურად უნდა მიმართოს ევროკავშირის ენერგოგაერთიანებას, რათა მათმა ექსპერტებმა მოამზადონ საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის ადეკვატურობის შეფასების გეგმა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით;
2. უნდა შეიქმნას ენერგოეფექტურობის თაობაზე სამუშაო ჯგუფი ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (კომერციული საბანკო სექტორის ჩათვლით), რათა განისაზღვროს როგორც რეალისტური, გაზომვადი სამიზნე მაჩვენებლები, ისე მისი შესრულების დროში გაწერილი პერიოდი და დაფინანსების წყაროები;
3. უნდა შეიქმნას ენერგოსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი, ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რათა ახალი გამოწვევების, ელექტროენერგეტიკის ადეკვატურობის შეფასებისა და ენერგოეფექტურობის შედეგების მიხედვით, თავიდან ჩამოყალიბდეს ქვეყნის ენერგოსაფრთხოების კონცეფცია. მნიშვნელოვანი იქნება სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მოხდეს ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევისა და აქტიური მომხმარებლების წახალისების თაობაზე მსჯელობები.

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში:

- პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ენერგოეფექტურობას, როგორც გამჭოლ მიმართულებას, განისაზღვროს ამბიციური გაზომვადი მიზნები, დროში გაწერილი ქმედებები და გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ღონისძიებების უზრუნველყოფის ფინანსური რესურსები;
- ნათლად უნდა გაიწეროს სექტორების მიხედვით, მიწოდების და ტექნოლოგიური დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;
- მოხდეს კრიპტოვალუტის მოპოვების თაობაზე არსებული მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

ამასთან, აუცილებელია,

- სამინისტრომ ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა აფხაზეთთან მიმართებაში, და შედეგები ასახოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში ცალკე ქვეთავად.

- წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია ელექტროენერგეტიკის, გაზის, ნავთობის, ნახშირისა და ბიომასის სექტორების როგორც მიწოდების, ისე მოხმარების შესახებ წლიურ, თვიურ, დღიურ და საათობრივ ჭრილში სექტორების და ფასების მიხედვით, რომლის საფუძველზეც, უნდა გაკეთდეს მოხმარების სექტორალური პროექცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ფასების დინამიკასაც;
- წარმოდგენილი იქნას ინფორმაცია, რომელი მაღალი ეფექტიანობის აგრეგატებით იგეგმება მოძველებული თბოსადგურების ჩანაცვლება;
- დოკუმენტში პრიორიტეტი მიენიჭოს ენერგოეფექტურობას, როგორც გამჭოლ მიმართულებას, განისაზღვროს ამბიციური გაზომვადი მიზნები, დროში გაწერილი ქმედებები და გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დონისძიებების უზრუნველყოფის ფინანსური რესურსები;
- დოკუმენტში ნათლად გაიწეროს სექტორების მიხედვით, მიწოდების და ტექნოლოგიური დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;
- დოკუმენტში მოხდეს კრიპტოვალუტის მოპოვების თაობაზე არსებული მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი დონისძიებების დაგეგმვა;
- სამინისტრომ ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა აფხაზეთთან მიმართებაში, და შედეგები ასახოს ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში ცალკე ქვეთავად.